დიდი შრომითი მიღწევებით ხვდებიან აჭარის მშრომელები დიდი ოქტომბრის 65 წლისთავს. მეჩაიეებმა, მაგალითად, დაამზადეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 69.976 ტონა ჩაის ფოთოლი — მეტი, ვიდრე ვალდებულება ითვალისწინებდა. მაგრამ, რაც მთავარია, მიღწეულია შარშანდელზე უკეთესი ნედლეულის ხარისხის მაჩვენებელი. პირველ ხარისხად მიღებულია მოკრეფილი ჩაის ფოთლის 73,3 პროცენტი. ათასობით მკრეფავმა სეზონში მოკრიფა ათი და მეტი ტონა ჩაის ფოთოლი. მაგრამ ყველას გადააჭარბა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მერგოლურმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა გ. გოგიტიძემ — მან 14 ტონა მოკრიფა. დიდი ოქტომბრის 65 წლისთავის აღსანიშნავ რაიონულ შრომითს დღესასწაულზე იგი დაფნის გვირგვინით შეამკეს.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროს ქალაქის საწარმოთა შორის ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის ქარხნის კოლექტივმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და პირველი ადგილი დაიმსახურა. სოციალისტურ შეჯიბრებაში არაერთგზის გამარჯვებულია სავაგონო დეპოს კოლექტივი, ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანებაში დაახლოებით ორასმა წარმოების მუშაკმა შეასრულა ხუთწლედის მეორე წლის პირადი გეგმები და ვალდებულებანი.

წარმატებით შეასრულეს ოქტომბრის რევოლუციის სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი მეკონსერვეებმაც. აჭარის საკონსერვო მრეწველობის კომბინატმა წლის დამდეგიდან დაამზადა 16.500 ათასი პირობითი ქილა კონსერვი, აქედან თითქმის მეხუთედი — ვალდებულების ანგარიშში.

კოკისპირული წვიმის გამო ბათუმში მშრომელთა დემონსტრაცია არ გამართულა.

ცხინვალი

მარტო უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხოვრებაში მომხდარი სასიხარულო გარდაქმნები თვალსაჩინოდ წარმოაჩინა დიდი ოქტომბრის 65 წლისთავის აღსანიშნავმა სადღესასწაულო დემონსტრაციამ, რომელიც ცხინვალის თეატრალურ მოედანზე გაიმართა. მის მონაწილეთა შორის იყვნენ ახალი სამრეწველო საწარმოების წარმომადგენლები. სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის საიუბილეო წელს მწყობრში ჩადგა ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკა, ზონკარის წყალსაცავი, კვაისის ტყვია-თუთიის მადაროთსამმართველოს მამდიდრებელი ფაბრიკა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრი ობიექტი, ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის ახალი ავეჯის საამქრო, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი ქარხანა, გაიხსნა სატროლეიბუსო მიმოსვლის პირველი რიგი.

ეს წარმატებანი აისახა დიაგრამებსა და სქემებზეც, რომლებიც ლამაზ ტრანსპარანტებთან ერთად დემონსტრაციის მონაწილეებს მოაქვთ.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების სადღესასწაულო მსვლელობას მიუძღვიან ცხინვალის ავტობუსშემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურენი. ეს უფლება მათ მოიპოვეს წარმატებებით სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ მიჰყვებიან და თავიანთ მიღწევებს უპატაკებენ სამშობლოს „ემალსადენისა" და „ელექტროვიბრომანქანის", მექანიკური ქარხნისა და სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივები. სადღესასწაულო კოლონებში მოდიან მინერალური წყლის „ბაგიათის" ჩამოსასხმელი ქარხნის, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო კომპლექსის, ავტოსაგზაო გვირაბის მშენებლები.

დემონსტრანტებს ტრიბუნიდან მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, ავტონომიური ოლქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ქუთაისი

ხიტყვა „ახალი" ყველაზე ხშირად გვხვდება ქუთაისელთა სადღესასწაულო პატაკებში. დიდი ოქტომბრის 65 წლისთავის წინ ნორჩი მოქალაქენი მიიღო პიონერთა და მოსწავლეთა ახალმა სასახლემ. მთელ რიგ საწარმოებში ამოქმედდა ახალი სიმძლავრენი. საავტომობილო ქარხნის საგრეგატო კორპუსში დაიწყო დიზელის ძრავების გამოშვება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალი ზემძლავრი ავტომატარებლებისათვის.

სადღესასწაულო ვითარება სუფევს ქალაქში, რომლის ქუჩები მორთულია წითელი დროშებით, ტრანსპარანტებით, ყვავილებით.

ვასილ კიკვიძის სახელობის მოედანზე აგებულ ტრიბუნაზე ადგილებს იკავებენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები.

იწყება ქალაქის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია, ქალაქისა, რომელსაც ზედიზედ მერვედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ტრიბუნას ჩაუარეს საავტომობილო, ლითოფონის, ელექტრომექანიკური, მინის ტარის, საკონსერვო ქარხნების, აბრეშუმისა და სამკერვალო საწარმოო გაერთიანებების; ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშებმა და მოსამსახურეებმა.

სადღესასწაულო მსვლელობაში მათ ცვლიან კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მოსწავლეები და სტუდენტები, სპორტსმენები.

დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ ქალაქში გაიმართა სახალხო სეირნობა, თეატრებსა და კულტურის სასახლეებში — სადღესასწაულო კონცერტები.

● ●

სურათზე: მშრომელთა საოქტომბრო დემონსტრაცია სოხუმსა და ცხინვალში.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხვალ თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიხსნება საქართველოს მასწავლებელთა V ყრილობა

...მოსწავლე ირჩევს კლასის პროფილს

ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო საშუალო განათლების კანონი ხორციელდება. საბჭოთა სკოლის განვითარებაში ეს დიდი ისტორიული მოვლენაა. ამ კანონის განხორციელება არ არის ადვილი საქმე — იგი დაკავშირებულია არა მარტო სკოლის მატერიალური ბაზის ქსელის გაფართოებასა და განმტკიცებასთან, არამედ მისი ორგანიზაციული სტრუქტურის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის, შინაარსის ახლებური გააზრების აუცილებლობასთანაც. ჩვენ, აღმზრდელ-მასწავლებლებმა, უნდა შევცვალოთ პოზიციები და დამოკიდებულება მოსწავლეებთან. თუ წინათ უფროსკლასელთათვის შეგვეძლო გვეთქვა — „ვისაც სწავლა არ უნდა შეუძლია წავიდეს სკოლიდან და იშრომოს!" — ახლა სკოლაში იმ მასწავლებელს გაუჭირდება მუშაობა, ვისაც არ შეუძლია აღუძრას თავის მოსწავლეებს ცოდნის წყურვილი, მონდომებინოს და შეაყვაროს სწავლა.

მაგრამ, გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ პედაგოგიკის მეცნიერებამ ჯერჯერობით ვერ მოგვცა სრულყოფილი რეკომენდაციები იმისათვის, რომ შევაყვაროთ ბავშვებს სწავლა. ფაქტობრივად, სკოლაში მოსწავლეებს ვაძალებთ, ვაიძულებთ, ისწავლონ და, ცოდვა გამხელილი სჯობია, ზოგჯერ მკაცრ, იქნებ არაპედაგოგიურ გზებსაც მივმართავთ. რა თქმა უნდა, მომავალ წლებში დაგვიგროვდება სასარგებლო გამოცდილება იმისა, თუ როგორი უნდა იყოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და მასწავლებლის ურთიერთობა უფროსკლასელებთან საყოველთაო საშუალო განათლების პირობებში. ზოგი რამ კი უკვე ახლაც შეიძლება ვცადოთ. ამ მხედველობაში მაქვს უფროს კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დიფერენცირებული ორგანიზაციის ფორმა, რაც თავისთავად ახალი არ არის, მაგრამ ახლანდელ გარემოში, ვფიქრობ, ახლებურ სამსახურს გაგვიწევს.

დიფერენცირებული სწავლების სხვადასხვა ფორმა საბჭოთა განათლების სისტემაში დიდი ხანია დაინერგა. ამის მაგალითია სამხატვრო და მუსიკალური, ფიზიკა-მათემატიკური და სხვა სახის სკოლები. ამის მაგალითია აგრეთვე პროფტექნიკური სკოლები, რომლებიც მოსწავლეებს კვალიფიციური მუშის სპეციალობასთან ერთად საშუალო განათლებასაც სძენს. მაგრამ ყველა ეს სკოლა მოსწავლეთა უმრავლესობისათვის თანაბრად მისაღები არ არის და, ამავე დროს, მათ საგანგებოდ გამორჩეული ვიწრო მიმართულება აქვთ.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ისეთი ტიპის დიფერენცირებული სკოლის შექმნა, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება, ჯერ ერთი, საკუთარი მიდრეკილებების, ინტერესების, სურვილების გარკვევა-განვითარებაში, მეორე, საფუძვლიან ორიენტაციაში პროფესიათა ფართო ციკლების მიმართ, მესამე, ჩააბამს მათ ამა თუ იმ ციკლის პროფესიათა შესაბამის სისტემატურ შრომით საქმიანობაში.

აი, როგორ წარმოგვიდგება ჩვენ ასეთი ტიპის სკოლა. რვა კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლე იმავე (ან შესაძლოა, მეზობელ) სკოლაში თავისი სურვილით შეუზღუდავად ირჩევს ამა თუ იმ პროფილის კლასს: ჰუმანიტარულს, ფიზიკა-მათემატიკურს, საბუნებისმეტყველოს. თუ გამოირკვევა, რომ არჩეულმა პროფილირებულმა კლასმა მისი ინტერესები ვერ დააკმაყოფილა, მას შესაძლებლობა ეძლევა გადავიდეს სხვა პროფილირებულ ან სულაც არაპროფილირებულ კლასში. ასეთი თავისუფალი არჩევანი გააძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციურ დამოკიდებულებას სწავლის მიმართ. ამა თუ იმ პროფილირებული კლასის მოსწავლეები კვირაში ერთ დღეს, ან იქნებ სემესტრში უწყვეტლივ ორ-სამი კვირის განმავლობაში, მუშაობენ შესაბამის ქარხანაში, ფაბრიკაში, ინსტიტუტში, საწარმოდაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და მეურნეობაში.

ამ კლასებს პროფილირებულს იმიტომ ვუწოდებთ, რომ თითოეულ მათგანში ფაკულტატიური საათებისა და პროგრამების ხარჯზე გაძლიერებულია ამა თუ იმ ციკლის საგანთა ჯგუფის სწავლება. ჰუმანიტარულ კლასში, მაგალითად, მოსწავლეები უფრო გაღრმავებით შეისწავლიან ლიტერატურას, ისტორიას, ენებს, არ არის გამორიცხული რომელიმე ახალი საგნის შემოტანაც (მანქანაზე ბეჭდვა, სტენოგრაფია, პედაგოგიკის საწყისები და ა. შ.).

ჩვენი ეს მსჯელობა პროფილირებულ სწავლებაზე ემყარება გარკვეულ გამოცდილებას, რომელიც შევიძინეთ 1975-1978 წლებში, როცა თბილისის პირველ რესპუბლიკურ ექსპერიმენტულ სკოლაში IX-X კლასების ასეთი ორგანიზაციის შესაძლებლობა გამოვცადეთ. შედეგი მეტად ეფექტიანი იყო: გაძლიერდა მოსწავლეთა ინტერესი სწავლის მიმართ, საგრძნობლად განმტკიცდა დისციპლინა, მეტად შინაარსიანად გაიშალა მოსწავლეთა შრომითი და შემოქმედებითი საქმიანობა, წრეების მუშაობა. მასწავლებლებიც უფრო გაახალისა სწავლების ახალმა ორგანიზაციამ. მაშინ მჭიდრო კავშირი გვქონდა დამყარებული გეოგრაფიის, ისტორიის, ლიტერატურის, ფიზიკის, ფიზიოლოგიის ინსტიტუტებთან, სტამბებთან, ქალაქის მწვანებთან ტრესტთან, სადაც ჩვენი მოსწავლეები შრომითს პრაქტიკას გადიოდნენ, მონაწილეობდნენ გეოგრაფიის და არქეოლოგიურ ექსპედიციებში და ა. შ. სამწუხაროდ, პროფილირებული სწავლების ორგანიზაციაში გვქონდა ზოგიერთი შეცდომაც, რის გამოც ეს მუშაობა შევწყვიტეთ. ახლა ჩვენ შეგვიძლია დინჯად ავწონ-დავწონოთ დიფერენცირებული სწავლების შესაძლო ფორმების ავკარგიანობა, შევიმუშაოთ ჩვენი რესპუბლიკის პირობებისათვის განსაკუთრებით მისაღები ტიპი და გამოვცადოთ იგი ერთი ან რამდენიმე სკოლის მუშაობაში.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ რომ არსებობს დიფერენცირებული სწავლების საწინააღმდეგო აზრიც — ვითომდა, ასეთი სწავლება საბჭოთა სკოლის ერთიანობას არღვევსო. ვფიქრობ, ასეთი თვალსაზრისი არ შეესაბამება სინამდვილეს. საქმე ის არის, როგორ ავაგებთ დიფერენცირებულ სკოლას, რომ ყველა მოსწავლეს მაქსიმალურად თანაბარი განვითარებისა და მეცნიერებათა საფუძვლების ერთიანი შინაარსის დაუფლების, ამასთან ინდივიდუალური ინტერესების, მიდრეკილებების, შესაძლებლობების, სურვილების სრული გამოვლენის პირობა შეუქმნას.

გვჯერა, რომ დიფერენცირებული სკოლა ჩვენს ქვეყანაში საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარების ერთ-ერთი პერსპექტიული გზაა.

ნ. ტარიელაშვილი,
თბილისის № 1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

გილოცავთ, კვლავაც გამარჯვებით გევლოთ!

ნომრის სტუმრები

ბორის წიფურია.

ჯონი ხეცურიანი.

სასიხარულო ცნობა მოვიდა ამ დღეებში მოსკოვიდან — საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიის ქართველ ლაურეატთა გალერეას კიდევ ორი ჩვენი თანამემამულის სახელი შეემატა — ბორის წიფურია და ჯონი ხეცურიანი.

ვულოცავთ მათ ამ აღიარებას და კვლავაც ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.

დღეს კი ისინი ჩვენი სტუმრები არიან.

ბორის წიფურია — რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი: დაიბადა 1933 წელს ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. 1939 წელს შევიდა თბილისის 36-ე საშუალო სკოლაში. 1956 წელს დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი. ამავე წლიდან სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასის წევრია. 1962 წლიდან კი იწვევენ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

ლენინური კომკავშირის ეს უმაღლესი ჯილდო მას მიენიჭა „მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისა და მასობრივი ახალგაზრდული ზეიმების დადგმებისათვის".

მაყურებელი ბორის წიფურიას იცნობს, როგორც თეატრისა და კინოს ერთ-ერთ კოლორიტულ მსახიობს, რომლის მიერ განსახიერებული როლები — მოყოლებული სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრიდან ვიდრე რუსთაველის თეატრის სცენამდე, მუდამ იწვევდა მაყურებელთა და თეატრმცოდნეთა საერთო მოწონებასა და მაღალ შეფასებას.

მისგან განსახიერებულმა გმირებმა, ქვეყნის სხვადასხვა კინოსტუდიებისა თუ სატელევიზიო ფილმებში მსოფლიო ეკრანები მოიარა და ყველგან დამსახურებული აღიარება პოვა. აი, თუნდაც ერთ-ერთი ცნობა გაზეთ „კომუნისტის" ადრინდელი პუბლიკაციიდან, რომელიც გვამცნობს, რომ მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართული ფილმის „შერეკილების" ნახვის შემდეგ გამოჩენილმა იტალიელმა კინოვარსკვლავმა ჯინა ლოლობრიჯიდამ ბორისი მსოფლიოს აღიარებულ კომიკოსთა გვერდით დააყენა. ქართველი მაყურებელი მუდამ დიდი ინტერესით ელოდება მის ყოველ ახალ როლს და არც უწბილდება ეს მოლოდინი — იგი ხომ მისი საყვარელი მსახიობია.

— მახარებს ეს მაღალი ჯილდო, მახარებს და მეამაყება, კიდეც — თქვა სახელდახელო საუბრისას მსახიობმა, — გულწრფელი მადლობა ყველას, განსაკუთრებით კი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას, ვინც პირველად გამომიცხადა ნდობა და მომცა საშუალება, მეცხოვრა ჩვენი ახალგაზრდობის საერთო რწმენითა და სულისკვეთებით, უფრო თამამად მომეკიდა ხელი ჩემი „ახალი პროფესიისათვის" — დიდი დღესასწაულებისა და სახალხო ზეიმების რეჟისურისათვის. რა დამავიწყებს, იმ დილას, იმ პირველ ტელეფონის ზარს, რომელიც ჩემს ბინაში აწკრიალდა და ეს ამბავი მომილოცა, იგი ხომ სწორედ ჩემს მშობლიურ კომკავშირს ეკუთვნოდა.

მე სხვა კაცი ვარ, არ ვაპირებ სიბერეს. კვლავაც ახალგაზრდული შემართებით ვიქნები ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების გვერდით, ვიქნები მათ საერთო ფერხულში და ვეცდები, ყოველმხრივ გავამართლო ის ნდობა და სიყვარული, რომელიც ჩემთვის ერთ-ერთ უძვირფასეს მილოცვის ტექსტშია გამოხატული. დეპეშაში, რომელიც ამ დღეებში მოვიდა რუსთაველის თეატრში ვკითხულობთ: **ძვირფასო ბორის მიხეილის ძევ, საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, მთელი საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობის სახელით მხურვალედ და გულწრფელად გილოცავთ ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის წოდებას. თქვენმა მაღალმა ხელოვნებამ, ნათელმა ტალანტმა და მიზანსწრაფულმა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ აღიარება მოვა საბჭოთა ჭაბუკებსა და ქალიშვილებში. დიდია თქვენი ღვაწლი ჩვენი ახალგაზრდობის ესთეტიკურად აღზრდის საქმეში. გისურვებთ ურყევ ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებითს წარმატებებს — ჩვენი უსაყვარლესი სამშობლოს საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ" — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. პასტუხოვი.**

ჯონი ხეცურიანი. — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი: დაიბადა 1951 წელს, ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშში. სწავლობდა ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლაში. 1973 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იყო ვ. ი. ლენინის სახელობის სტიპენდიანტი. ამავე წელს განაგრძელა სწავლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1976 წლიდან 1980 წლამდე მუშაობდა ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1980 წლიდან კი პარტიულ სამუშაოზეა, — ამჟამად საქართველოს კომპარტიის თბ[illegible]ქო კომიტეტის

და პარალელურად განაგრძობს მეცნიერულ მოღვაწეობას. გამოქვეყნებული აქვს 16 სამეცნიერო ნაშრომი.

საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ჯ. ხეცურიანს მიენიჭა ნაშრომისათვის „მორალურ ნორმათა მნიშვნელობა საბჭოთა სამოქალაქო სამართალში", რომელიც გამომცემლობა „მეცნიერებამ" ცალკე წიგნად დასტამბა 1980 წელს. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში დაწესებული ეს ერთადერთი პრემია სწორედ ჩვენმა თანამემამულემ დაიმსახურა.

პრემირებული ნაშრომი სამართლის მეტად რთულსა და აქტუალურ პრობლემას ეძღვნება. საბჭოურ იურიდიულ მეცნიერებაში პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა, რომელშიც კომპლექსურადაა გაშუქებული საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და მორალის ურთიერთზემოქმედების საკვანძო საკითხები.

შვიდ წელიწადზე მეტი მოანდომა მან ამ ნაშრომს, სანამ ცალკე წიგნად გამოსცემდა. სადისერტაციო თემაც, რომელიც 1977 წელს წარმატებით დაიცვა ხარკოვის იურიდიული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე, ამავე პრობლემას ეხებოდა. უნდა ითქვას, რომ ეს ნაშრომი პირველი ნაბიჯია ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტის გზაზე, და უთუოდ შეუწყობს ხელს მორალური ნორმების გამოყენების ფარგლების დადგენას სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებისას. ამას კი, თავისთავად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნების კონსტიტუციური უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად.

ახალგაზრდა მეცნიერის ცალკეული სტატიები და შრომები წლების განმავლობაში ქვეყნდებოდა როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო პერიოდულ გამოცემებში; მათ შორის გაზეთ [illegible]

მისი სტატია — „მართლწესრიგის განმტკიცება მეცნიერულ საფუძვლებზე", რომელიც საქართველოში მეცნიერების შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიეძღვნა.

— მიხარია, — გვითხრა ლაურეატმა, — რომ ლენინური კომკავშირის ეს მაღალი ჯილდო ჩვენი თბილისობის, ჩვენი თბილისქალაქისათვის ლენინის ორდენის გადაცემის საზეიმო დღეებში მომეკუთვნა, მიხარია, და ვგრძნობ, რომ ეს აღიარება მავალებს, უფრო მეტი შევძინო ქართული იურიდიული მეცნიერების საერთო საგანძურს.

განსაკუთრებით მადლიერი ვარ ქართული იურიდიული სკოლისა, რომელსაც სათავე დაუდო და ათეულობით წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი თინათინ წერეთელი. სწორედ ამ სკოლის მდიდარი ტრადიციების წყალობით ჩამოყალიბდა ჩემში მეცნიერული კვლევისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, სიახლის ძიებისა და მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის ჩვევები.

მიუხედავად იმისა, რომ კომკავშირულ ასაკს ახლახანს გადავცილდი, ყოველივე, რასაც დღემდის მივაღწიე, სწორედ მას — კომკავშირს, ახალგაზრდულ შემართებასა და რომანტიკას ვუმადლი, — ეს შრომები ხომ კომკავშირულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის პერიოდში იქმნებოდა.

მადლობა ყველას, ვისაც გულით გაუხარდა და გაიზიარა ჩემი ეს წარმატება...

ვგვჯერა, წარმატებები კვლავაც ექნებათ ჩვენს ახალ ლაურეატებს. ამის საწინდარია მათ მიერ შემოქმედებითა და შთაგონებით განვლილი გზა. და კომკავშირის ეს ჯილდოც ხომ საიმედო საგზური ახალგაზრდა კაცის ლამაზი ცხოვრებისა და ახალ-ახალი გამარჯვებების გზაზე.

ლ. გაბრია.

მოლდაველ სცენოგრაფთა გამოფენა

ქართულ-მოლდავურ თეატრალურ ურთიერთობას კარგახნის ისტორია აქვს. მოლდავეთის თეატრების სცენებზე წარმატებით იდგმება ა. ცაგარელის, ნ. დუმბაძის, გ. ნახუცრიშვილის, გ. ხუხაშვილის, ლ. თაბუკაშვილის ნაწარმოებები. ხოლო კიშინიოველთა სპექტაკლი — ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება" წლის საუკეთესო სპექტაკლად იყო აღიარებული.

შემოქმედებითი ტრადიციების გაგრძელებად მიიღო ქართველმა საზოგადოებრიობამ მოლდაველ სცენოგრაფთა ექსპოზიცია, რომელსაც საქართველოს თეატრალური საზოგადოების საგამოფენო დარბაზი მასპინძლობს. გამოფენაზე წარმოდგენილია მოლდავეთის თეატრალურ მხატვართა 80-მდე ნამუშევარი. ექსპოზიციას ხსნის ი. შუბინისა და ა. ლოდრეისკის ნაწარმოებები, რომლებმაც ორმოციან წლებში სათავე დაუდეს მოლდავური სცენოგრაფიის განვითარებას. დარბაზში წარმოდგენილია ყველა თაობის თეატრალური მხატვრები. ყურადღებას იპყრობს ი. პოიუს, პ. ბალანის, ბ. პისკუნის, ა. ქოლუდევის, ი. შუბინის და სხვათა ნამუშევრები. აქვეა თოჯინების თეატრის მხატვრების ვ. და გ. კანტორების ტილოებიც.

— ამ გაზაფხულზე, — გვეუბნება მოლდავეთის თეატრალური საზოგადოების ხელოვნების განყოფილების გამგე, თეატრალური კრიტიკოსი და ისტორიკოსი გ. ჩინჩლეი, — კიშინიოვში გაიმართა ქართველ თეატრალურ მხატვართა გამოფენა, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა წილად. ეს კი ჩვენი საპასუხო გამოფენაა და დიდად ვღელავთ, რადგან თბილისელი მხატვრობის მოყვარულთა შეფასებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მოგვიხაროდა აქეთ ქართველ კოლეგებთან შესახვედრად. მოლდავეთში გულით შეიყვარეს თქვენი გამოჩენილი რეჟისორი დ. ალექსიძე, რომელმაც მხატვარ ფ. ლაპიაშვილთან და ქორეოგრაფ ი. ზარეცკისთან ერთად შესანიშნავად დადგა ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა".

— ქართველ მხატვართა გამოფენის შთაბეჭდილებები ჯერაც არ გაგვნელებია.— განაგრძობს საუბარს მოლდავეთის თეატრალური საზოგადოების ხელოვნების განყოფილების სცენოგრაფიის სექციის თავმჯდომარე ს. კერდივარენკო, — ბედნიერი ვარ, რომ დღეს უკვე თბილისში შევხვდები ქართველ მხატვრებს, მსახიობებს, კოლეგებს, კიდევ უფრო ახლოს გავეცნობ თქვენს დიდებულ თეატრალურ ტრადიციებსა და კულტურას. მოლდაველი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა თბილისში, ჩვენი რესპუბლიკის სცენოგრაფთა პოტენციის და აქტიური ძალების დასტურად მიმაჩნია.

გამოფენა გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ.

ვერნისაჟზე გამოვიდნენ საქართველოს სახალხო მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, დრამატურგი გ. ხუხაშვილი, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის მდივანი გ. გუნია, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ეგაძე. მოლდაველ მხატვართა სახელით მასპინძლებს მიესალმნენ და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს გ. ჩინჩლეიმ და ს. კერდივარენკომ.

გამოფენა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს ეძღვნება.

ნ. თათელაძე.

საჭადრაკო ოლიმპიადები

ლუცერნში გრძელდება მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადები. მეშვიდე ტურში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს. იუსუპოვმა დაამარცხა კინდერმანი; კასპაროვ-ჰიუბნერი და პოლუგაევსკი-უნციკერი დაზავდნენ. ერთი პარტია გადაიდო და მისი დამთავრებისას ყაიმი აღინიშნა. ამრიგად, ანგარიშით 2,5:1,5 გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა. საბჭოთა მოჭადრაკეებს მერვე ტურის წინ 20 ქულა ჰქონდათ და კვლავ ლიდერობდნენ.

მეშვიდე ტურში სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა უნგრეთის გუნდთან ფრედ (1,5:1,5) დაამთავრა შეხვედრა.

ჩიბურდანიძე — ვერეცი-პეტრონიჩის პარტიაში აღინიშნა ყაიმი. კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა. მან ჯერ დიდი პოზიციური უპირატესობა მოიპოვა ივანკასთან, ხოლო შემდეგ წამოიწყო ძლიერი იერიში თეთრების მეფეზე. უნგრელი მოჭადრაკე იძულებული გახდა დანებებულიყო. ჭადრაკის მრავალი მიმომხილველები აღნიშნავენ გაფრინდაშვილის დამაჯერებელ, ლამაზ თამაშსა და გამარჯვებისაკენ სწრაფვას.

საბჭოთა გუნდიდან მესამე დაფაზე გამოდიოდა იოსელიანი. პორუბსკისთან პარტიაში იგი ძლიერ ცაიტნოტში მოექცა და დამარცხდა.

მერვე ტურის წინ ჩვენს ქალთა გუნდს 16,5 ქულა ჰქონდა და კვლავ ლიდერობდა. წინ კიდევ შვიდი ტურია.

სატურნირო ორბიტა

რაგბი. ქუთაისში გაიმართა საკავშირო თასის გათამაშების ფინალური მატჩი კიევის „ავიატორსა" და მონინის (მოსკოვის ოლქი) სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს შორის. კიეველებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 9:3 და მეორედ დაეუფლნენ თასს.

წყალბურთი. მოსკოვში გრძელდება უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი. შეჯიბრების მესამე დღეს ასეთი შედეგები აღინიშნა: კიევის „დინამო"-თბილისის „დინამო" — 9:6, ალმაათის „დინამო"-სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბი — 9:9, მოსკოვის „დინამო"-მოსკოვის უნივერსიტეტი — 9:9.

კალათბურთი. ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება სსრ კავშირის კლუბების ვაჟთა ნაკრების ტურნე. მათ უკვე მესამე მატჩი გამართეს და კვლავ გაიმარჯვეს — 79:72. ამჯერად საბჭოთა კალათბურთელების მეტოქეები იყვნენ ქალაქ ფრესნოს საუნივერსიტეტო გუნდის სპორტსმენები.

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

საჭიროა ფრთებზე თამაში

როგორც ცნობილმა დასავლეთგერმანელმა სპეციალისტმა ვაისვაილერმა განაცხადა, „ფეხბურთის ალფა და ომეგა იყო და არის ფრთებზე, გარემარბებით თამაში. ასე იქცევიან იტალიელები (ფრთებზე თამაშობენ კონტი, გრაციანი, ხანდახან როსიც), დასავლეთგერმანელები (ლიტბარსკი და რუმენიგე), პოლონელები (ლატო და სმოლიარეკი), ფრანგები (როშტო და სიქსი). ის, ვინც უგარემარბოდ თამაშობს, ძალიან ირთულებს ამოცანას".

ბრაზილიელების წინადადება

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ წინადადებით მიმართა ფიფას ახალი, რიცხვით მეორე „მონდიალიტოს" (მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი) გამართვის თაობაზე. ბრაზილიელები აპირებენ ეს შეჯიბრება 1984 წელს მოაწყონ იტალიის, გფრ-ის, საფრანგეთის, პოლონეთის, ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

ზამთრის ფორმის ტანსაცმელზე გადასვლა

თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების, სასწავლებლებისა და დაწესებულებების პირადი შემადგენლობა 1982 წლის 9-15 ნოემბრიდან ტანსაცმლის ზამთრის ფორმაზე გადადის.

გაზეთ „კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 10 ნოემბერს.

რედაქტორი [illegible]

ტელევიზია

8 ნოემბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.30 და 18.45 — მულტფილმები. 10.10— უკრავს სასულე ორკესტრი „რიგა". 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირის. 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — „მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები — საბჭოთა კავშირის 1982 წლის სახელმწიფო პრემიების ლაურეატები". 13.30 — ნორჩ ვოკალისტთა კონცერტი. 14.30 — საბჭოთა კავშირი უცხოეთის სტუმრების თვალით. 14.45 — მუსიკალური კიოსკი. 15.10 — კინომოგზაურობის კლუბი. 16.15 — ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სსრ კავშირის 1982 წლის სახელმწიფო პრემიების ლაურეატები. 17.25—მხატვრული ფილმი. „წითელი დიპკურიერები". 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 20.15 — ფეხბურთი. კიევის „დინამო" — „სპარტაკი". მე-2 ტაიმი. 21.00 — „თუ გინდა ჯანმრთელი იყო". 21.15 — ფეხბურთი — მინსკის „დინამო" — „ფახთაქორი". 22.00 — „ვრემია". 22.35 — სიმღერის საღამო. 00.10 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 და 21.40 — დოკუმენტური ფილმები. 9.50 — მხატვრული ფილმი „გამარჯვებულნი". 11.25 — „ჩვენი მეგობრების პრემიერები". კონცერტი (გდრ). 11.55 — ცხოველთა სამყაროში. 12.55 — „მე-9 სტუდია".

[illegible]

თბილისი

[illegible]

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08537 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. [illegible]